

ხაზინის მართვის ცენტრალიზებული სისტემა

ტექნიკური/ზოგადი მოთხოვნები

1. სისტემის შემადგენელი კომპონენტები

- ფრონტენდი - აპლიკაცია, რომელზეც წვდომა აქვს თანამშრომელს.
 - ტექნოლოგია: React/Vue, DevExpress.
 - დამოუკიდებელი web app.
 - კორპორატიული სამომხმარებლო ინტერფეისი UI/UX.
- ბექენდი - REST API აპლიკაცია, რომელიც მოიცავს სისტემისთვის საჭირო ყველა ფუნქციონალს და ლოგიკას. ბექენდს უკავშირდება და მონაცემებს ცვლიან ფრონტენდ აპლიკაცია, სერვისები, ინტეგრაციები.
 - ტექნოლოგია: .NET C#, MSSQL.
 - დამოუკიდებელი web app.
 - OpenAPI სტანდარტი ნებისმიერი ტიპის გარე თუ შიდა აპლიკაციასთან/სისტემასთან სამუშაოდ.
- ინტეგრაციები, სერვისები - ხაზინის მართვის სისტემაში მუშავდება ინფორმაცია, რომლებიც ყოველდღიურად ახლდება/იცვლება და საჭიროებს გარე სისტემებიდან ხაზინის სისტემის ბაზაში შემოტანას/განახლებას.
 - Data warehouse ინტეგრაცია
 - ვალუტის კურსები
 - ლიბორი, რეფინანსირების განაკვეთები
- IdentityProvider (IDP) - უსაფრთხოების, ავტორიზაციის და წვდომების პროვაიდერი, რომელიც არეგულირებს როგორც თანამშრომელების, ისე სისტემის შემადგენელი კომპონენტების დაშვებებს და უფლებებს.
 - ტექნოლოგია: Keycloak, free opensource single sign on (SSO) platform.
 - დამოუკიდებელი web app.
 - LDAP პროტოკოლთან ინტეგრაცია (Active directory), დომენის მომხმარებლები.
 - ლოკალური მომხმარებლები.
 - დინამიურად მართვადი როლები, უფლებები.

2. ინფრასტრუქტურა

- Windows Server, IIS – 1 ინსტანსი ლაივ გარემო, 1 ინსტანსი სატესტო.
- Windows Server, MSSQL – 1 ინსტანსი ლაივ გარემო, 1 ინსტანსი სატესტო.
- Windows Server, FileServer – 1 ინსტანსი ლაივ გარემო, 1 ინსტანსი სატესტო.

3. ზოგადი მოთხოვნები

- სისტემის ქართულენოვანი ინტერფეისი;
- მომხმარებლის ვებ ინტერფეისი;
- Active directory"-სთან ინტეგრაციის შესაძლებლობა;
- ფილტრაცია - ცნობარების, დოკუმენტების პარამეტრების, სტატუსების, ველების მიხედვით
- ლოგირება - განხორციელებული ცვლილების შენახვის/ნახვის შესაძლებლობა
- ცნობარების/დოკუმენტების ჩანაწერებზე სხვადასხვა ფორმატის/გაფართოების დოკუმენტების ატვირთვის შესაძლებლობა
- იმეილ და სისტემის შიდა შეტყობინებები და მისი მართვა - სესხის ვადის ამოწურვის, გადახდის ვადის დადგომამდე მითითებული დროით ადრე, სესხის ვადაგადაცილების შემთხვევაში.
- სისტემის ინტეგრაცია სხვადასხვა სერვისებთან/წყაროებთან აღწერილი ინტეგრაციის წერტილების შესაბამისად.

წარმოდგენილი ტექნოლოგიური მოთხოვნები წარმოადგენს სასურველ და რეკომენდებულ არქიტექტურულ და ტექნოლოგიურ ჩარჩოს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას განიხილოს მონაწილეთა მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ტექნოლოგიური გადაწყვეტებიც, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფუნქციურად, ტექნიკურად და ხარისხობრივად არ ჩამოუვარდება მოცემულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მოთხოვნილი ფუნქციონალის, უსაფრთხოების, მასშტაბირებადობისა და ხარისხის არანაკლებ დონეს.